ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4900143

ნომერი: AR1737507

თარიღი : 28.02.2020

გაცემის თარიღი : 16.03.2020

გაცნობის თარიღი : 16.03.2020

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ლადო მესხიშვილის ქუჩა, N 23;

დამკვეთი-განმცხადებელი

- იოსებ ბარამაშვილი პ/ნ 14001027185
- დედოფლისწყარო ს. ქვემო ქედი მე–10 ქ. N 18

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- საყოფაცხოვრებო მომსახურეობის ობიექტები
  - სასტუმრო

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15

მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

28/02/2020 წლის AR1737507 განცხადების პასუხად, რომელშიც ითხოვთ N 01.17.01.018.024; საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე სასტუმროს განთავსების მიზნით მიწის ნკავეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებას, გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით N01.17.01.018.024 დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი-რუკის მიხედვით მდებარეობს საცხოვრებელი ზონა 5 (სზ–5)-ში. სზ-5 წარმოადგენს საშუალო ინტენსივობის შერეული საცხოვრებელი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს; ასევე დასაშვებია ამ წესების დანართი-1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული სახეობები;

განაშენიანების რეგულირების პარამეტრები .

კოეფიციენტები:

კ-1 კოეფიციენტი 0,5

კ-2 კოეფიციენტი 2,1

კ-3 კოეფიციენტი 0,3

საცხოვრებელი სიმჭიდროვე – ერთეული/ჰა მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები:

მინიმალური ფართობი 400 * / 500 კვ.მ; მინიმალური სიგანე 12 * / 15 მეტრი; მინიმალური სიღრმე 20 * / 25 მეტრი; შენობა-ნეგებობის მაქსიმალური სიმაღლე – მეტრი.

შენიშვნა: * ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლისთვის.

** განისაზღვრება მიმდებარე განაშენიანების შესაბამისად

ვინაიდან წარმოდგენილი მიწის ნაკვეთის გაბარიტული ზომები ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლობის მოთხოვნებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ 24-ე მუხლის შესაბამისად იძულებით (განპირობებული) შეუსაბამო უძრავი ობიექტებისათვის ინდივიდუალური პარამეტრების დასადგენად უნდა მოითხოვოთ სპეციალური (ზონალური) შეთანხმება, რისთვისაც განცხადება უნდა ატვირთოთ urban.tbilisi.gov.ge > სპეციალური (ზონალური) შეთანხმება - >ინდივიდუალური პარამეტრების დადგენა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია საკითხზე მსჯელობის შესაძლებლობას.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.